

SMART CLUB - თიბისი ბანკის მართლმადიდებელი კლიენტებისთვის!

პრესრელიზი

თბილისი, 3 ივნისი, 2010 წ.

ბონუსი და საჩუქარი იმისათვის, რომ უბრალოდ ხართ თიბისი ბანკის კლიენტი! – ასეთია თიბისი ბანკის **SMART CLUB**-ის მთავარი იდეა. დღეიდან **SMART CLUB** თიბისი ბანკის ერთგულ მომხმარებლებს გააერთიანებს და შესთავაზებს მათ ქართულ საბანკო სექტორში სრულიად ახალ, ინოვაციურ მომსახურებას.

კერძოდ, კლუბის წევრები ბანკისგან მრავალფეროვანი საჩუქრებით დასაჩუქრდებიან, თანაც ისე, რომ ამისათვის არავითარი დამატებითი და განსაკუთრებული ძალისხმევა არ დასჭირდებათ – ისინი ჩვეულებრივად ისარგებლებენ ბანკის მომსახურებით და ამ სერვისებით სარგებლობისას დაუგროვებთ **SMART** ქულები, რომლებსაც შემდეგ, პარტნიორ ობიექტებში, სასურველ საჩუქრებზე გადაცვლიან.

შედეგად, **SMART CLUB**-ის წევრებს საბანკო ბარათით გაკეთებული თითოეული შენაძენი, ბანკში დაგროვილი დანაზოგი, თუ აღებული სესხი ახალ, დამატებით სარგებელს მოუტანს!

რა არის SMART CLUB?

ეს არის თიბისი ბანკის ლოიალური კლიენტების კლუბი, რომლის წევრები ჩაერთვებიან ე.წ. „ბონუსების პროგრამაში“. პროგრამის ფარგლებში კლუბის წევრები მიიღებენ ქულებს საბანკო პროდუქტებით სარგებლობისთვის.

ქულების დარიცხვით, ბანკი მადლობას უხდის თავის ლოიალურ კლიენტებს და აძლევს მათ დამატებით სარგებელს, თიბისი ბანკის მომსახურების სარგებლობისთვის.

პროექტის პარტნიორები:



ვის შეუძლია გახდეს SMART CLUB წევრი?

კლუბში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც უკვე სარგებლობს თიბისი ბანკის მომსახურებით, ან სურვილი აქვს გახდეს თიბისი ბანკის მომხმარებელი.

ამისთვის საჭიროა, კლიენტმა შეავსოს სპეციალური განაცხადი, რის შემდეგაც ის უკვე ხდება კლუბის წევრი და გადაეცემა „SMART CLUB ბარათი“. ამ ბარათზე ხდება დაგროვილი ქულების დარიცხვა და შემდეგ, მათი განაღდება პარტნიორ მაღაზიებში.

SMART ქულების დაგროვება

ქულების დაგროვება ხდება შემდეგი საბანკო სერვისებით სარგებლობისას:

- ◆ თიბისი ბანკის POS ტერმინალის საშუალებით, ბანკის ნებისმიერი საკრედიტო და სადეპოზიტო ბარათით ანგარიშსწორება, მომსახურების და სავაჭრო ობიექტებში;
- ◆ საბანკო ანგარიშზე ნაშთის გაჩერება;
- ◆ ნებისმიერი ანაბარი (საბავშვო ანაბრის გარდა);
- ◆ ნებისმიერი სესხი (სალომბარდე სესხის გარდა);
- ◆ ელექტრონული საბანკო მომსახურება.

რამდენიმე პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში, ხდება ქულების გაორმაგება და გასამმაგება. ამრიგად, რაც მეტი პროდუქტით სარგებლობს კლიენტი, მით მეტია დაგროვილი ქულების რაოდენობა.

ქულების დაგროვება ხდება ავტომატურად, და ამისთვის არ არის საჭირო SMART CLUB ბარათის გატარება. იმ შემთხვევაში კი, თუ თქვენ მიერ შერჩეული საჩუქრის მისაღებად დაგროვილი ქულები არ არის საკმარისი, განსხვავება შეგიძლიათ შეავსოთ თანხით.

SMART CLUB ბარათზე ქულების დარიცხვა მოხდება თვეში ერთხელ, ყოველი თვის დასაწყისში, წინა თვის ბოლო თარიღის მდგომარეობით დაგროვილი ქულების მიხედვით.

კლუბში გაწევრიანებისას, კლიენტებს, რომლებიც უკვე 1 წელი ან მეტი ხნის განმავლობაში არიან თიბისი ბანკის კლიენტები, საჩუქრად, ერთჯერადად, გადაეცემათ Welcome ქულები ბანკისგან.

დაგროვილი ქულების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია: თიბისი ბანკის ფილიალებში, სმს-ით, სატელეფონო ცენტრის საშუალებით და SMART CLUB -ისთვის შექმნილ სპეციალურ ვებ-გვერდზე: www.SmatrClub.ge.

„ექსკლუზივები“ SMART CLUB -ის წევრებისთვის

დამატებით, კლუბის აქტიური წევრებისთვის მოეწეობა სპეციალური ღონისძიებები, რომლებზე დასწრებასაც ისინი უფასოდ შეძლებენ. ეს იქნება როგორც სპეციალურად მათთვის მოწყობილი ექსკლუზიური ღონისძიებები, ისე უფასო ბილეთები კინოთეატრში, თეატრალურ პრემიერებზე, ყველაზე მნიშვნელოვან სპორტულ სანახაობებზე და სხვა.

